

# ახალი ხელისუფლების სამი პოზიტივი და სამი ნეგატივი

გაზეთი "ალია" – 02.03-04.03, # 8, 2013 წელი

*"ალიას" ესაუბრა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა*

- ბ-ნო ლადო, მოსახლეობა ახალი ხელისუფლებისგან თითქოს მეტს ელოდა, თუ გადავხედავთ სოციალურ ქსელებს და ა.შ. გამოითქმის უკმაყოფილებები... ელოდნენ ფასების შემცირებას, საბანკო კრედიტების გაიაფებას და ა.შ..

- ადამინების უმრავლესობას ბრიყვული განცდა აქვს. გაიხსენეთ ბადრი პატარკაციშვილმა პოლიტიკაში რომ დააპირა მოსვლა, ხალხის მოლოდინი იყო ავშენდებითო. ახლაც ასე ფიქრობენ: კაცს ლამის 7 მილიარდი დოლარი აქვს ქონება და ახლა ეს დაგვაპურებს და აგვაშნებსო. ივანიშვილმა თავის ჯიბიდან თუ ხარჯა ყველაფერი ხალხის დასაპურებლად, კარგი არაფერი მოხდება. ივანშვილი ხომ გაკოტრდება, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ქვეყანა კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ეს მოლოდინი გაზვიადებული იყო. დღეს არსებული დამაბულობა აისახება ყველაზე. ხალხის დამოკიდებულება არის უკიდურესად ნეგატიური. ყველა ხვდება, რომ ნაციონალური მთავრობა იყო კრიმინალური მთავრობა და მას დღეს პასუხი ვერ ეთხოვება. იმავდროულად, ხედავს რომ "ქართულ ოცნებას" უჭირს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა - გამოდის, რომ დაპირება ცოტათი მაინს უფრო ტრაბახი იყო.. ეს ყველაფერი გარკვეულ უკმაყოფილების მუხტს ქმნის "ქართული ოცნების" წინააღმდეგ, მაგრამ არა იმდენს რომ ხალხმა დაივიწყოს ნაციონალური მოძრაობის ბოროტება და დაუპირისპირდეს "ქართულ ოცნებას". საწუხაროდ, დღეს ჩვენ არჩევანი გაქვს ბოროტებასა და გულგატეხილობას შორის. რა თქმა უნა მაინც გულგატეხილობის მხარეს იქნება ხლხი, ვიდრე ბოროტებისკენ

- მოსახლეობა მიჩვეული იყო სანახაობას, მინიმუმ თვეში ერთხელ ახალი სწარმოს გახსნას, მერე რა ბედი ეწეოდა ხოლმე ამ საწარმოებს ეს ხვა საკითხია, მაგრამ ეს მუშაობდა... ახლა ეს აღარ არის... ცოტა იმედგაცურების მომენტი ჩნდება...

- საწარმოების გახსნა-არგახსნის ტემპი ზუსტად ისეთივეა, როგორც იყო მანამდე. უბრალოდ, სააკაშვილს ჰქონდა და მის მთავრობას კარგად აწყობილი და ახლაც აქვს PR სამსახური. მე აქ ხაზს გავუსვამ, რომ მთავარია არა ფორმალურად შექმნილი სამსახური, არამედ PR ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა. რაც შეეხება "ქართული ოცნების" მთავრობას, პრემიერ-მინისტრის აპარატში შეიქმნა ასეთი სამსახური, რაც მე აბსოლუტურად გაუგებრად მიმაჩნია. სააკაშვილს არანაირი სამსახური არ ჰქონდა და ყველაფერს ახერხებდა. თურმე სამსახურის შექმნაში არ არის პრობლემა. მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ერთ ვიზიტს მაინც საქართველოს რომელიმე რეგიონში, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი გახდა.

- **არჩევნების შემდეგ ასეთი არ მახსენდება, ნამდვილად.**

- უფრო მეტიც, ის არც თბილისელებს არ შეხვედრია. მე არ ვგულისხმობ ივანიშვილის ვოიაჟს ქუთაისში, სადაც ის შეხვდა უმრავლესობას. ასევე, მის შეხვედრებს სხვადასხვა წრეებთან. ექსპერტებთან, არასამთავრობო სექტორთან, მისი პარტიის ყრილობას და ა.შ. ვგულისხმობ მის შეხვედრას რიგით ამომრჩველთან, მისვლას სხვადასხვა მოქმედ, თუ მშენებარე ობიექტზე. ასე რომ, სამწუხაროდ, ეს კომპონენტი, PR - საც რომ თავი დავანებოთ, ის რაღაც ახალი ამბავი, რომელიც საზოგადოებას შეიძლება მიეცეს, არ არის. აუცილებელია, თვეში 2-3-ჯერ კომუნიკაცია ხალხთან. მისვლა სხვადასხვა ობიექტებზე. იმ ობიექტზე, რომელიც იხსნება, ან თუნდაც უკვე მოქმედებს. ამას აქვს გარკვეული დატვირთვა, რომ ხალხთან იყოს ეს ურთიერთობა და შემდეგ კი ხალხი ამ ინფორმაციას იღებდეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით. ეს ზედმეტი ჰქონდა სააკაშვილსა და მისი მთავრობის წევრებს. მოხტუნავე "რწყილივით" იყო, ხან ერთ რეგიონში, ხან - მეორეში. ეს არის ხარვეზი, რომელიც ახასიათებს პრემიერ-მინისტრს და ამას ვამბობ გულისტკივილით, იმიტომ რომ, მე პირადად, არც არასდროს დამიმაღლავს, მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, რომელსაც უნდა, რაც შეიძლება მშვიდობიანად და

მალე დასრულდეს ნაციონალური ბოროტება. ეს შეუძლებელია თუ "ქართული ოცნება" არ იქნება წარმატებული. ბ-ნ ბიძინას ნამდვილად არ ჰქონდა პრობლემა, როდესაც იყო დევნის ქვეშ, როგორც პოლიტიკური ლიდერი, შეხვედროდა ამომრჩეველს, ახლა ის თვითონ არის პრემიერ-მინისტრი.. მაშინ ასე ვთქვათ, საფრთხის წინაშე იგდებდა სიცოცხლეს, ახლა ეს პრობლემა მის წინაშე არ დგას. ეს ერთ-ერთი ხარვეზია მის საქმიანობაში.

**- ალბათ ასეთი PR სტრატეგია აქვთ...**

- მე ვფიქრობ, PR სტრატეგია, როგორც ასეთი, საერთოდ არ გააჩნიათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მოვიყვან ერთ თვალშისაცემ მაგალითს. იხარჯება 95 მილიონი კახეთის რეგიონში სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის. ეს ხომ ფანტასტიკური თანხაა. ამ დროს, ნებისმიერ ტელეარხს, რომელსაც ჩართავ, ძირითადად მოდის უკმაყოფილო ხალხის განწყობა. როგორ დავიჯერო, ყველა უკმაყოფილოა? ამიტომ გარკვეული პოზიტიური PR აუცილებელია. თუცა, ამ 95 მილიონთან, ერთი სერიოზული უკმაყოფილების განცდა მაქვს...

**- რას გულისხმობთ?**

- რა უნდოდა 95 მილიონის დარიგებას მთავრობის ასდღიან ანგარიშში. ეს მთავრობის ფული არ არის და არც ბიუჯეტშია გაწერილი. ვიცით, რომ ეს არის "ქართუ" ფონდიდან და ასეთ ქველმოქმედებას ბ-ნი ბიძინა მანამდეც აკეთებდა, სანამ ის პოლიტიკაში მოვიდოდა. ამიტომ ამ 95 მილიონთან მთავრობას არაფერი ესაქმება. ეს 100 დღის საპრეზენტაციო მასალაში არანაირად არ უნდა ყოფილიყო ასახული.

**- ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებზე რას იტყვით? რა გამოიკვეთა და რამდენად სწორი მიმართულებით?**

- ეკონომიკური პრიორიტეტები არ გასცილებია ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამას. პრიორიტეტები პარტია "ქართულ ოცნებას" აქვს. თუმცა ამასწინათ შევეცადე მათივე პარტიის ვებგვერდზე პროგრამა მენახა, მაგრამ სამწუხაროდ, არ იხსნება. ეს მე მიმაჩნია სერიოზულ ნაკლად. უკეთესი იქნება, მით უფრო, რომ ვებგვერდი აქვთ სამენოვანი, ეს პროგრამა სამივე ენაზე იდოს. მთავრობას უნდა ჰქონდეს ფურცელზე

გადატანილი მკაფიო ხედვა. კონკრეტულად 4 წლის განმავლობაში რა, როდის უნდა იყოს მიღწეული, ანუ რა არის ქვეყნის სტრატეგია, რა ვადაში უნდა იქნას მიღწეული და ვინ არის პასუხისმგებელი.

- ანუ ქვეყანას არ აქვს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია?

- მე-9 არხის ეთერით საჯაროდაც კი ვთხოვე მთავრობას მოამზადოს ასეთი დოკუმენტი, რომელსაც არ ვიცი რას დაარქმევენ, პროგრამას, სტრატეგიას, თუ გეგმას... მე სურვილი გამოვთქვი და სამწუხაროდ, ასეთი რამ ჯერ არ არის. აქ მივადექით კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს, რაზეც ხშირად ვსაუბრობ და სანამ მთავრობა რაღაცნაირ გადაწყვეტას არ მიიღებს არ დავიღლები ვისაუბრო. პრემიერ-მინისტრს ჰყავს სამთავრობო გუნდი და ეს მისი დასაყრდენია, მაგრამ არსებობს საერთაშორისო გამოცდილება, რომ ქვეყნის ლიდერთან და ჩვენი პრემიერ-მინისტრი გახდება სულ მალე ქვეყნის ლიდერი ახალი კონსტიტუციით, არსებობს ეკონომიკური საბჭო, ანუ პროფესიონალ ეკონომისტთა გუნდი. ეს გუნდი რაღაც პერიოდულით იკრიბება და ხდება საჭირობოროტო საკითხების განხილვა. როცა ვლაპარაკობთ სტრატეგიაზე, რა თქმა უნდა, ეს მთავრობის მოსამზადებელია, მაგრამ განსაკუთრებული დატვრთვა ეკისრება ქვეყნის ლიდერთან ასეთი ეკონომიკური საბჭოს არსებობას, რომელიც გარკვეულწილად, კონსტრუქციულად ითანამშროლებს და ოპონირებას გაუწევს პრემიერ-მინისტრთან მთავრობას. ასეთი საბჭოების პრაქტიკა მსოფლიოში დიდია. აშშ-ში საკმაოდ წარმატებით გამოიყენება, ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ასეთი საბჭო 1993 წელს შექმნა ედუარდ შევარდნაძემ და სხვათა შორის, საკმაოდ ინტენსიურად იყენებდა და წარმატებითაც. გავიხსენოთ 95 წლის ფულის რეფორმა, რომელიც წარმატებით განხორციელდა. მოგვიანებით შევადნაძემ მიძინებულ რეჟიმში გადაიყვანა საბჭო და არ იყენებდა. ასეთი საბჭო შექმნა ჩემი თხოვნით მიხეილ სააკაშვილმა 2005 წელს, მაგრამ მხოლოდ 1 სხდომა ჩატარდა და აგერ უკვე 8 წელი შესრულდება და საბჭო არ შეკრებილა. ნოე ჟორდანიას მთავრობასაც უნდოდა ეკონომიკური საბჭოს შექმნა, მაგრამ ვერ მოასწრეს. მერე საქართველოს ოკუპაცია მოხდა. ანუ ეს ინსტიტუტი არ ახალია და ის აპრობირებულია. მიმაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრს ასეთი საბჭო ესაჭიროება. მინდა აღვნიშნო, რომ 1 თვის წინ ფინანსთა მინისტრმა შექმნა სათათბირო. მასში შედიან

ქართველი ეკონომისტები, არასამთავრობოები, საუნივერსიტეტო სფეროს წარმომადგენლები და უკვე ორი შევხდრა ამ ფორმატში გაიმართა. ცუდი არ იქნება თუ მსგავს საექსპერტო საბჭოებს შექმნიან სხვა სამინისტროებიც. განსაკუთრებით, ასეთი საბჭო ესაჭიროება სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. რაც მეტი იქნება საექსპერტო საზოგადოების ურთიერთობა მთავრობასთან, იქნება ეს პრემიერ-მინისტრი თუ ცალკეული სამინისტროები, უკეთესი იქნება მთავრობისთვის.

**- პრემიერი ექსპერტებთან პერიოდულად შეხვედრებს ხომ მართავს?**

- ასეთ ერთ-ერთ შეხვედრაზე მეც ვიყავი მიწვეული. მაგრამ ეს ის შეხვედრები არ არის, სადაც კონსტრუქციული დასკვნის გამოტანა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, რომელზედაც მე ვიყავი იმაზე შემძლია ვთქვა. ვიყავით, 15-მდე ექსპერტი აბსოლუტურად განსხვავებული სფეროებიდან. შეუძლებელია ერთდროულად ილაპარაკო, პროკურატურის საკითხებზე, ეკონომიკის, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე, კონფლიქტის გადაწყვეტაზე, მასმედიის საკითხებზე და რა ვიცი, უამრავ თემებზე... ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებზე. როცა პრემიერ-მინისტრი ხვდება 15 ექსპერტს სხვადასხვა სფეროდან, ბუნებრივია, რომ საუბარი გამოდის და კონკრეტულად არაფრის შესახებ.

**- სახელმწიფო ბიუჯეტმა ბევრი სოციალური ვალდებულება აიღო. პენსიების ზრდა, პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ა.შ. ეს კრიზისამდე ხომ არ მიგვიყვანს?**

- ჩვენ კრიზისში უკვე ვართ. ამ კრიზისამდე მიგვიყვანა ნაციონალური მოძრაობის მთავრობამ. 2012 წელს სულ ფიქსირდებოდა დეფლაცია. დეფლაცია რას ნიშნავს? ხალხს ფული არ აქვს რომ პროდუქცია იყიდოს. ამიტომ, ფასები მიდის დაბლა. გვყავდა დეპრესიული მომხმარებელი. როდესაც ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან არ შემცირებულა, ამ გზავნილების დიდი ნაწილი გამოყენება რიგთი ჩვენი თანამოქალაქეების მიერ მიმდინარე ხარჯების დასაფარად. წარმოიდგინეთ ეს გადმორიცხვები არ შემცირებულა ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, იმავდროულად ფასები კლებულობს. ანუ ქვეყნის შიგნით აშკარაა, რომ პრობლემა შეიქმნა შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. ნაციონალებმა როგორც არ უნდ დააბრალონ ქართულ ოცნებას

დეფლაცია 2012 წელს დაიწყო და ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოვიდა 2012 წლის ბოლო 2 თვის განმავლობაში.

**- მით უფრო, თუ არის, ეს სოციალური ვალდებულებებიც ხომ დაემატება?**

- გამოვიდეთ იქიდან რომ ეს იყო სერიოზული დაკვეთა მოსახლეობის, ამომრჩევლის მხრიდან. ამიტომ მთავრობა ამას ვერ გაეცეოდა. მეორე - პენსიების, ასევე მასწავლებლებისათვის ხელფასების გაზრდა, იგივე სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა, მოქალაქეებს გამოუთავისუფლებს ხარჯებს, რომელიც ჯანდაცვაზე უნდა დაეხარჯა და შეეძლება ეს სხვა მოხმარებისთვის გამოეყენოს. ეს ყველაფერი ზრდის მოთხოვნას, ანუ დეფლაციიდან რომ ქვეყანა გამოვიდეს. ხელს უწყობს ინფლაციას, მაგრამ ეს ინფლაცია რომ მაღალი არ იყოს, ძალიან დიდი მნიშველობა აქვს ეროვნული წარმოების განვითარებას.

**- 3 პოზიტივი და 3 ნეგატივი რომ დაასახელოთ ამ ხელისუფლების?**

- ნეგატივს არ დავარქმევდი, უფრო ხარვეზია, ან პრობლემა.. პოზიტივებიდან პირველია - თავისუფლების განცდა და იმის მოლოდონი, რომ კიდევ უფრო გავთავისუფლდებით. ის რომ ადამიანებმა ამოისუნთქეს და ახლა უკვე აღარ გვეშინია. მეორე - მთავრობამ მოახერხა და თვისობრივად ახალი ბიუჯეტი წარმოადგინა. ეს არის 2013 წლის ბიუჯეტი, რომელიც ბევრად გამჭვირვალეა, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. მესამე - რუსეთთან ბაზრის გახსნის შესაძლებლობა. რაც შეეხება პრობლემას, პირველი - საზოგადოებასთან ურთიერთობის, საზღვარგარეთთან ურთიერთობისა და PR ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარის თქმა. მეორე - მკაფიო სამთავრობო სტრატეგიის ჩამოუყალიბებლობა. სამწუხაროდ, ჯერ არ არის ჩამოყალიბებული სტარატეგია ქვეყანა საით მიდის და ბევრი ბუნდოვანი განცხადება იყო. ყარსი-ახალქალაქის, ან რუსეთ-სომხეთის რკინიგზასთან დაკავშირებით... მესამე - ცალკეულ შემთხვევებში არაპროფესიონალიზმის ელემენტები მთავრობაში. მარტო ეკონომიკური ბლოკზე არ ვლაპარაკობ. დაწყებული საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ეს მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას ეხება.

**თემურ ჭუმბურიძე**